ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის დანერგვა საქართველოში: ნაბიჯი წინ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო[1]“
სექტემბერი 2013

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი საქართველოს მთავრობისათვის ანალოგურიდან ციფრულ მიწისზედა ტელევიზიაზე გადასვლის პროცესში შემდგომი ნაბიჯების თაობაზე ინფორმაციისა და რეკომენდაციების წარდგენაა. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ბოლო ვადა 2015 წლის 17 ივნისია. სამთავრობო ცვლილების შემდეგ ციფრული მაუწყებლობის თემაზე ეკონომიკის სამინისტრომ რამდენიმე შეხვედრა გამართა და სამუშაო ჯგუფებიც შექმნა, თუმცა აღნიშნულმა მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო. საერთაშორისო ხელშეკრულება ავალდებულებს საქართველოს დაიცვას ეს ვადა, მიზნის მისაღწევად კი მთავრობამ მეტი ძალისხმევა უნდა გაწიოს და დამატებითი რესურსები გამოყოს.[2]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიიჩნევს, რომ ციფრული სამაუწყებლო ქსელის შექმნის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი, კონკურენტუნარიანი და სწორად მართული. აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო გარემო. ამასთან, საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული ციფრული მაუწყებლობის შესახებ და მიიღოს დახმარება ციფრულ ტელევიზიაზე

[1] ეს ანგარიში და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მუშაობ მედიი კუთხით დაფინანსებულია IREX G-MEDIA პროგრამის მიერ. G-MEDIA ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, USAID-ის მეშვეობით ხორციელდება. ანგარიშში გამთქმული მოსაზრებები „საერთაშორის გამჭვირვალობა - საქართველოს“ ეკუთვნის და არ ასახავს აშშ-ს მთავრობის, USAID-ისა და IREX-ის შეხედულებებს.

[2] ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი (ITU) (2006): „2015 წელს ციფრული მაუწყებლობა საკომუნიკაციო პლატფორმას გარდაქმნის,“ http://www.itu.int/newsroom/press_releases/2006/11.html

გადასვლის პროცესში, რათა ციფრული ტელევიზიის უპირატესობები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მხარს უჭერს ნებისმიერ მცდელობას, რომელიც ზემოთ აღნიშნული მიზნებისკენ იქნება მიმართული.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი უნდა ემსახურებოდეს შემდეგ მიზნებს:

- პლურალისტული, მრავალფეროვანი, ფინანსურად მდგრადი სამაუწყებლო სექტორის შექმნას, რომელსაც ბაზრის წესები მართავს და არა ხელისუფლება;
- მომხმარებლებისთვის მრავალფეროვანი პაკეტებისა და უფასო არხების მიწოდებას; თითოეულ მოქალაქეს მარტივად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ციფრულ ტელევიზიაზე, მოწყვლადმა ჯგუფებმა კი (როგორებიცაა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები, პენსიონერები და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლება) შესაბიმისი დახმარება უნდა მიიღონ;
- კონტენტის მწარმოებლებისთვის ბაზარზე შემოსვლის დაბალი ბარიერების დაწესებას და ციფრულ ქსელთან მათი დაშვების არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფას;
- არსებული ინფრასტრუქტურის ეფექტურ გამოყენებას და ბაზრის მოთამაშეებს შორის თანამშრომლობის წახალისებას;

რას ნიშნავს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა?

- ამჟამად სატელევიზიო სიგნალი ანალოგური ტიპისაა და იგი საქართველოს მასშტაბით 36-მდე სატელევიზიო ანძის მეშვეობით ვრცელდება. ანალოგური სიგნალი საქართველოში მალე ციფრული სიგნალით შეიცვლება, რაც სიგნალის გადამცემი ინფრასტრუქტურის განახლებასა და, სავარაუდოდ, ახალი გადამცემი ანძების მშენებლობას გულისხმობს;
- სატელევიზიო არხები დაჯგუფდება და ისინი მულტიპლექსების (MUX) [3] მეშვეობით DVB-T2 (ციფრული ვიდეო მაუწყებლობა - მიწისზედა მაუწყებლობის მეორე თაობა) სტანდარტით გავრცელდება. [4] მულტიპლექსი ციფრული ინფორმაციის ნაკადია, რომელიც გამოსახულების, ხმისა და სხვა სახის მონაცემის ერთობას წარმოადგენს. [5] ერთი მულტიპლექსის მეშვეობით შესაძლებელია 15 სტანდარტული ან 7 მაღალი გარჩევადობის ხარისხის

[3] იხილეთ: https://en.wikipedia.org/wiki/Multiplex_(TV)
[4] იხილეთ: https://en.wikipedia.org/wiki/DVB-T2
[5] http://www.radioandtvhelp.co.uk/interference/rtis_tv/whatismux_digitalTV

სატელევიზიო არხის გადაცემა შეიძლება;

- მულტიპლექსის მართვის ლიცენზია ერთ ან რამდენიმე კომპანიას გადაეცემა. მულტიპლექსის ოპერატორმა კომპანიამ გადამცემი ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით ინვესტიციები უნდა განახორციელოს. ამასთან, იგი უნდა მოელაპარაკოს მაუწყებლებს მულტიპლექსში მათი სიგნალის ჩართვაზე (შესაძლოა, მულტიპლექსის ოპერატორმა ამ მომსახურებისთვის გადასახადი დააწესოს), აწარმოოს საინფორმაციო კამპანია და უზრუნველყოს მოსახლეობისთვის დეკოდერების გაცემა. ციფრული ტელევიზია უფასო იქნება (free-to-air), თუმცა მულტიპლექსის ოპერატორებს შეუძლიათ დამატებით ფასიანია არხების პაკეტის შექმნაც (pay-TV);
- ყველა ძველი ტელევიზორი სატელევიზიო სიგნალს ანტენის მეშვეობით იღებს. (მათზე, ვინც სატელევიზიო სიგნალს კაბელით ან სატელიტით იღებენ, ან IPTV-თი სარგებლობენ ციფრულ მაუწყებლობაე გადასვლა არ იმოქმედებს.) ძველ ტელევიზორებს კი ციფრული სიგნალის ანლოგურად გარდაქმნისთვის სეტ-ტოპ ბოქსები ესაჭირეობა. ზოგიერთი ახალი ტელევიზორი აღიქვამს DVB-T2 სტანდარტს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ციფრული სიგნალის მისაღებად დეკოდერი არ სჭირდება. ზოგიერთ ოჯახს სიგნალის მისაღებად შესაძლოა ახალი ანტენაც დასჭირდეს. ისინი კი, ვინც ანალოგური სიგნალის გამორთვამდე (2015 წლის 17 ივნისი) არ შეიძენენ სეტ-ტოპ ბოქსებს, ტელევიზორის ყურებას ვეღარ შეძლებენ;
- ტელევიზიებმა გადამცემი ინფრასტრუქტურა უნდა განაახლონ, რათა შეძლონ ციფრული სიგნალის გადაცემა;
- რამდენიმე თვის მანძილზე ციფრული და ანალოგური სიგნალი პარალელურად გადაიცემა. ამას სიმულკასტის პერიოდი ეწოდება. ამ პერიოდში უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ რომ ყველა ოჯახი შეძლებს ციფრული ტელევიზიის ყურებას.
- ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდეგ სიხშირეები გათავისუფლდება და მათი გამოყენება დამატებითი მულტიპლექსებისთვის ან სხვა მიზნებისთვის გახდება შესაძლებელი.

ციფრული ტელევიზიის უპირატესობა („ციფრული დივიდენდი“)

- ციფრული ტელევიზია ხმისა და გამოსახულების უკეთეს ხარისხს უზრუნველყოფს. ხელმისაწვდომი გახდება მაღალი გარჩევადობის (HD) არხები და ახალი ტიპის სერვისები, როგორიცაა, მაგალითად, ელექტრონული პროგრამების კატალოგი (EPG). არხებს შეეძლებათ სუბტიტრების დამატების

სერვისიც ჩართონ; ხელმისაწვდომი გახდება დამატებითი ინფორმაცია პროგრამებზე, გადაცემების ყურება კი სხვადასხვა ენებზე გახდება შესაძლებელი;

- მაყურებლებისთვის უფრო მეტი უფასო არხი გახდება ხელმისაწვდომი. ასევე, მსურველებს მიეცემათ შესაძლებლობა დამატებით ფასიანი არხების პაკეტიც ჩართონ (Pay-TV);
- სამაუწყებლო სიხშირეები აღარ იქნება შეზღუდული რესურსი. ტელევიზიებისთვის უფრო მარტივი გახდება სატელევიზიო ბაზარზე შესვლა. მათ შეეძლებათ სიგნალის გადაცემის საფასური მულტიპლექსის ოპერატორს გადაუხადონ, რის შედეგადაც სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების საჭიროება შემცირდება.
- ციფრული ტელევიზია სიხშირეების ეკონომიურად გამოყენების საშუალებას იძლევა. ის სიხშირეები, რომლებიც ახლა მაუწყებლობისთვის გამოიყენება, გათავისუფლდება და მათი სხვა მხრივ გამოყენება გახდება შესაძლებელი. მარეგულირებელ კომისიას შეეძლება გამოაცხადოს აუქციონი 4G/LTE ფართოზოლიანი მობილური კავშირებისთვის, რაც, ერთის მხრივ, სახელმწიფოსთვის დამატებითი შემოსავალია, მეორეს მხრივ კი, ქვეყანაში მაღალსიჩქარიან მობილურ ინტერნეტს განავითარებს.

მთავარი რეკომენდაციები:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უნდა დაასრულოს და გამოაქვეყნოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია, რომელშიც მოცემული იქნება კონკრეტული ვადები და სამოქმედო გეგმა;
- ეკონომიკის სამინისტრომ და კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ უნდა იმუშაონ. ისინი უნდა შეთანხმდნენ სტრატეგიულ საკითხებზე, მათ შორის, აღნიშნულ დოკუმენტში ასახულ თემებთან მიმართებაში;
- საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უნდა შეიმუშაონ ყველა საკანონმდებლო ცვლილება (მაგ., საქართველოს კანონისთვის ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ), რომლებიც საჭიროა ე.წ. სილამაზის კონკურსების ჩატარებისათვის (ამ კონკურსის შედეგად მულტიპლექსის ოპერატორები უნდა შეირჩეს); აღნიშნული შესაბამისი პოლიტიკისა და მარეგულირებელი პრინციპების განსაზღვრასაც გულისხმობს;

    - ამის შემდგომ, კონცულტაციების პროცესის დასაწყებად უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი გახდეს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები, რაც დაინტერესებულ მხარეებს და საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარდგენის საშუალებას მისცემს.
- ამ პროცესის წარმატებით განსახორციელებლად ეკონომიკის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის თანამშრომლების, რესურსებისა და ცოდნა-გამოცდილების მობილიზება;
- მთავრობაში უნდა შეიქმნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებისაგან შემდგარი სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს თანმიმდევრული პროგრესი, შეათანხმოს ფუნქციები და მოვალეობები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის და დაიწყოს საინფორმაციო კამპანია მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეების, მაგ., იმპორტიორებისა და საცალო ტექნიკით მოვაჭრეების, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თაობაზე ინფორმირებისა და მომზადებისათვის;
- მაქსიმალურად კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად, უმჯობესია, ექვსივე მულტიპლექსის ერთი კომპანიისთვის გადაცემის ნაცვლად, ეკონომიკის სამინისტრომ სამი მულტიპლექსი ერთ კომპანიას გადასცეს, სამი კი მეორეს. სამინისტრომ ორივე კომპანიას უნდა მოსთხოვოს, რომ სამიდან ერთი მულტიპლექსი უფასო არხებისთვის გამოყოს;
- მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს და დააფინანსოს დიგიტალიზაციის ფონდი, რომლიდანაც თანხები გამოიყოფა დეკოდერების შესაძენად და საინფორმაციო კამპანიის წარმოებისათვის, ასევე, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების დასაფინანსებლად. ფონდის თანხების განკარგვა გამჭვირვალე უნდა იყოს. ამჟამად, მთავრობა გეგმავს, რომ დეკოდერებისა და საინფორმაციო კამპანიის ხარჯები მთლიანად კომპანიებმა გასწიონ. ნაცვლად ამისა, უმჯობესია, ხელისუფლებამ მულტიპლექსის ოპერატორებს ფონდში თანამონაწილეობა შესთავაზოს;
- სახელმწიფო დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, საინფორმაციო კამპანია დაუყოვნებლივ დაიწყება. საინფორმაციო კამპანია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. თუ მას მთლიანად მულტიპლექსის ოპერატორებს მივანდობთ, კამპანიის წამოწყება მხოლოდ მომავალ წელს გახდება შესაძლებელი. მომხმარებლებმა კი ახლავე უნდა შეიტყონ მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ იმისათვის, რომ შეძლონ

ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება - მაგალითად, იფიქრონ ახალი ტელევიზორის შეძენაზე, რომელიც DVB-T2 სტანდარტთან თავსებადი იქნება;

- მთავრობამ თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს, რომ თითოეულ მოქალაქეს, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს, ჰქონდეთ წვდომა მრავალფეროვან სატელევიზიო არხებზე. ეს შეიძლება განხორციელდეს მიწისზედა ციფრული ტელევიზიის ან სხვა პლატფორმების მეშვეობით, როგორიცა საკაბელო ტელევიზია, სატელიტი და IPTV. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სახელისუფლებო სტრუქტურებმა კოორდინირებულად უნდა იმუშაონ - წამოიწყონ დროული საინფორმაციო კამპანია, უზრუნველყონ სეტ-ტოპ ბოქსების სუბსიდირება და ტექნიკური კონსულტაციები შესაბამისი ჯგუფებისათვის;

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა: ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გეგმა

26 ივლისს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ, ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე (DTT) გადასვლის პროცესის წამყვანმა სამთავრობო სტრუქტურამ, დაინტერესებულ მხარეებს მის მიერ შემუშავებული წინასწარი გეგმები წარუდგინა.

სამინისტროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ:

- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი მიზნად ისახავს მაუწყებლების, მაყურებლებისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებას;
- ეკონომიკის სამინისტრო ღიაა დაინტერესებული მხარეების გამოხმაურებისა და წინადადებების მისაღებად და ამ პროცესში მომდევნო ნაბიჯების გადადგმამდე „უახლოეს მომავალში" დაინტერესებულ მხარეებთან კიდევ ერთი შეხვედრის გამართვას გეგმავს;
- სამინისტრო მიზნად ისახავს, უზრუნველყოს სახელმწიფოს მხრიდან ამ სექტორში გაუმართლებელი ჩარევის არარსებობა;
- სამინისტრო ვალდებულებას იღებს, ხელი შეუწყოს საქართველოში წარმოებული კონტენტის ხარისხის გაუმჯობესებას;
- სამინისტროს სურს განავითაროს მაღალი დონის ციფრული მიწისზედა მაუწყებლობა, რათა აღნიშნულმა ტექნოლოგიამ კონკურენცია გაუწიოს სხვა პლატფორმებს (საკაბელო, სატელიტური);

- აზერბაიჯანთან შემდგარი წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად, თბილისსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისზედა პლატფორმაზე მეტი არხი გახდება ხელმისაწვდომი.

ეკონომიკის სამინისტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემოთავაზებული სტრატეგია იმ მიზნით შემუშავდა, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გადასვლის პროცესში სახელმწიფო ბიუჯეტის წვლილი და იმავდროულად უზრუნველყოფილ იქნას სულ მცირე ერთი მულტიპლექსის (MUX) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობა. ერთ მულტიპლექსზე შესაძლებელია 15 სტანდარტული ან 7 მაღალი გარჩევადობის (HD) ხარისხის არხის განთავსება.[6]

ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ჩატარებული პრეზენტაციისა და პროცესში ჩართულ პირებთან საუბრების შედეგად ირკვევა, რომ ეკონომიკის სამინისტრო დაახლოებით 7 მულტიპლექსის აგებას გეგმავს. ყველა ქსელი თანამედროვე DVB-T2 და MPEG 4 სტანდარტზე იქნება დაფუძნებული, რითაც მაქსიმალურად გაიზრდება სამაუწყებლო არხებისა და მომსახურების რაოდენობა.

მულტიპლექს 1 (MUX 1)

ერთი მულტიპლექსი სახელმწიფო საკუთრებაში ან სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იქნება, თუმცა, შესაძლებელია, რომ იგი იმავე ოპერატორმა ამუშაოს, რომელსაც 3-7 MUX-ები გადაეცემა მმართველობაში. MUX1 უკონკურსოდ გადაეცემა საზოგადოებრივ მაუწყებელს მისი არხების („პირველი არხი," „მეორე არხი" და „აჭარის ტელევიზია") გასავრცელებლად. ეკონომიკის სამინისტროს ჯერჯერობით არ განუმარტავს შესაძლებელი იქნება თუ არა MUX 1-ზე საზოგადოებრივ არხებთან ერთად ის კერძო მაუწყებლებიც განთავსდნენ, რომელთაც სავალდებულო ტრანზიტის (Must Carry) სტატუსი აქვს მინიჭებული. ამჟამად, სავალდებულო ტრანზიტის არხებს საერთო სამაუწყებლო ლიცენზიის მქონე ყველა ტელეარხი განეკუთვნება, მათ შორის, „რუსთავი 2" და „იმედი." თუ ამ არხებს საზოგადოებრივი მაუწყებლის მულტიპლექსზე არ დაუშვებენ, მაშინ გასარკვევია, თუ როგორ მოხდება ამ მულტიპლექსზე დარჩენილი რესურსების გამოყენება. MUX 1 საქართველოს მოსახლეობის 95%-ს დაფარავს.

მულტიპლექს 2 (MUX 2)

[6] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
https://en.wikipedia.org/wiki/Multiplex_(TV)_and_https://en.wikipedia.org/wiki/Multiplexing

ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, ის განიხილავს ეროვნული ან/და ადგილობრივი მაუწყებლების კონსორციუმების დაშვებას MUX 2-ის ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ე.წ. სილამაზის კონკურსის წესით გაიცემა. როგორც პრეზენტაციიდან გაირკვა, MUX 2-ის განვითარება შესაძლებელი იქნებოდა იმ სიხშირეების გამოყენებით, რომლებიც სიმულკასტის პერიოდისთვისაა განკუთვნილი (სიმულკასტის პერიოდი რამდენიმე თვე გრძელდება და ამ დროს ორივე - ანალოგური და ციფრული სიგნალი გადაიცემა) და რომლებიც ხელმისაწვდომი გახდება ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდეგ. ასეთი სცენარის პირობებში, MUX 2-ის ჩაშვება 2015 წლის შუა თვეებიდან მოხერხდება, ეთერში კი იგი მხოლოდ 2017 წელს გავა. იმ შემთხვევაში, თუ MUX 2-ის განვითარება და ოპერირება ტელემაუწყებლების კონსორციუმის განსახორციელებელი იქნება, მის წევრებს 2015 წლიდან მის გაშვებამდე MUX 3-7 ოპერატორის გამოყენება მოუწევთ.

სილამაზის კონკურსი vs აუქციონი

სილამაზის კონკურსი გამჭვირვალე და კონკურენტული პროცესია; მთავრობა ქართული და საერთაშორისო კომპანიებისთვის ან კონსორციუმისთვის განცხადებას აქვეყნებს და მოუწოდებს მათ მიიღონ მონაწილეობა მულტიპლექსის ოპეაროტორების კონკურსში. მთავრობა განსაზღვრავს პირობებს და აწესებს მინიმალურ მოთხოვნებს, რაც ოპერატორებმა უნდა შეასრულონ; მაგალითად, გაწერილია ვადები, რომლის ფარგლებშიც ქსელმა სრულად უნდა შეძლოს ფუნქციონირება და მოსახლეობის პროცენტი, რასაც უნდა ფარავდეს მულტიპლექსი. დაინტერესებული პირები, შემდეგ, მარეგულირებელ კომისიას თავიანთი წინადადებებით მიმართავენ. კომისია კი, ლიცენზიას შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, საუკეთესო აპლიკანტ(ებ)ზე გასცემს. შეფასების კრიტერიუმი შესაძლოა რამდენიმე იყოს: მართვის შესაბამისი გამოცდილება, კომპანიის ტექნიკური შესაძლებლობები, შემოთავაზებაში გაწერილი ვადები, დიგიტალიზაციის ფონდში შესატანი თანხების ოდენობა და კომპანიისთვის მისაღები ჯარიმის ოდენობა შეთანხმებული პირობების აუსრულებლობის შემთხვევაში.

აუქციონის შემთხვევაში კი მთავრობა დეტალურად გაწერს პირობებს და მულტიპლექსის ოპერატორის ლიცენზიას იმ კომპანიას ანიჭებს, რომელიც ყველაზე დიდ თანხას გადაიხდის. შედეგად, შესაძლოა, არასაკმარისი გამოცდილების მქონე კომპანია მივიღოთ, რომელსაც არ აქვს ქსელის გამართვისთვის საჭირო რესურსები და შესაძლებლობები.

რამდენიმე მაუწყებელმა მტკიცედ განაცხადა, რომ სურთ საკუთარ გადამცემ ტექნიკაზე კონტროლი თავადვე ახორციელონ და საკუთარი მულტიპლექსი თვითონვე ამუშაონ. ამ მაუწყებელთა რიცხვშია ტელეკომპანია „კავკასია“ და „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია“ (GARB), რომელიც 25-მდე ადგილობრივ არხს აერთიანებს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სამინისტრო წინააღმდეგია იმისა, რომ ცალკეულ არხებს საკუთარი გადამცემი აპარატურის ექსპლუატაციის უფლება ჰქონდეთ. აღნიშნულ არხებს ძალიან შეზღუდული ფინანსური და ორგანიზაციული რესურსები აქვთ.

მულტიპლექსები 3-7 (MUXs 3 – 7)

მულტიპლექსები 3-6/7 (ეკონომიკის სამინისტროს პრეზენტაციის მიხედვით დაგეგმილია ექვსი მულტიპლექსის მშენებლობა, სხვა წყაროებმა კი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აცნობეს, რომ მულტიპლექსების ოდენობა 7 იქნება) კონკურსის შედეგად კერძო ოპერატორს გადაეცემა. ეკონომიკის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ოპერატორს შესაძლებლობა ექნება მაყურებელს შესთავაზოს როგორც უფასო არხები (free-to-air channels), ასევე ფასიანი ციფრული მიწისზედა მაუწყებლობა (Pay-DTT). სამინისტროს განცხადებით, ოპერატორმა, მდგრადი ბიზნეს მოდელის შესაქმნელად, შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი საბოლოო მომხმარებლებისგან უნდა მიიღოს, რადგან არხებისგან მიღებული ტრანსმისიის საფასური მულტიპლექსის შესანახად საკმარისი არ იქნება.

როგორც ჩანს, ეკონომიკის სამინისტრო აუქციონის ნაცვლად ე.წ. სილამაზის კონკურსის გამართვას აპირებს, რომელშიც მთავრობის მიერ წინასწარ იქნება განსაზღვრული დეტალური მოთხოვნები.

ეკონომიკის სამინისტროს სურს, ოპერატორმა დაახლოებით 500 000 სოციალურად დაუცველი ოჯახი სატელევიზიო სააბონენტო დეკოდერებით უზრუნველყოს (სეტ-ტოპ ბოქსები, რომლებიც ციფრულ სიგნალს ანალოგურად გარდაქმნის) და აღნიშნავს, რომ ის არ გეგმავს სუბსიდიების გაწევაში მონაწილეობის მიღებას. სამინისტრომ DVB-T2 მიმღებების მოსახლეობაში დარიგების მოსალოდნელი ხარჯები 18 მლნ. ევროდ შეაფასა. გარდა ამისა, სამინისტრო აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი პროვაიდერი ვერ შეძლებს უზრუნველყოს აღნიშნული სატელევიზიო დეკოდერების მიწოდება, მან, შესაძლოა, მოთხოვნები გარკვეულწილად შეარბილოს.

იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე შესაფერისი კერძო ოპერატორი არ გამოჩნდება, ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, მას გეგმა B სცენარისათვის ბიუჯეტში 100 მილიონი ლარი აქვს გამოყოფილი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სატელევიზიო დეკოდერების შესყიდვას განახორციელებს.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საქართველოს მიერ შეთავაზებული გეგმა ევროპულ კონტექსტში: არჩევანი და რეკომენდაციები

კერძო MUX ოპერატორთა შერჩევის პროცესი

ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, კერძო MUX ოპერატორთა შესარჩევად ე.წ. სილამაზის კონკურსის ჩატარება იგეგმება. ეს მიდგომა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებებს შეესაბამება და OSCE/ODIHR-ისა და მარეგულირებელი ორგანოების ევროპის პლატფორმის (EPRA) რეკომენდაციებს ითვალისწინებს.[7]

ეკონომიკის სამინისტრო 6 მულტიპლექსის ერთი კერძო კომპანიისთვის გადაცემას გეგმავს. თუმცა, აქედან, ერთი მულტიპლექსი საზოგადოებრივ მაუწყებელს გადაეცემა, მეორე კი, შესაძლოა, ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდეგ მაუწყებელთა კონსორციუმს გადაეცეს. აღნიშნული მოდელი შეიძლება არ აღმოჩნდეს მდგრადი: მაუწყებელთა უმრავლესობას არ აქვს შესაბამისი ფინანსური თუ სხვა სახის რესურსები მულტიპლექსის შესაქმნელად და სამართავად. ამასთან, თუ მაუწყებლები 2017 წლისთვის საკუთარ მულტიპლექსს შექმნიან, კერძო მულტიპლექს ოპერატორი მაუწყებლების გადასახადიდან შემოსავალს ვეღარ მიიღებს, რაც ეჭვქვეშ დააყენებს ქსელის არსებობას.

<u>რეკომენდაციები</u>

ექვსივე მულტიპლექსის ერთი კომპანიისთვის გადაცემის ნაცვლად, უმჯობესი იქნება, ეკონომიკის სამინისტრომ 3-3 მულტიპლექსი ორ სხვადასხვა კომპანიას გადასცეს. აღნიშნული კომპანიები ვალდებულები იქნებიან მათ მფლობელობაში მყოფი სამიდან ერთი მულტიპლექსი უფასო ტელევიზიისთვის გამოყონ, დანარჩენ ორ მულტიპლექსზე კი შეეძლებათ ფასიანი არხების პაკეტების განთავსება. ამ გზით კონკურენციის დონე მულტიპლექსის ოპერატორებს შორის მაღალი იქნება. თუ სამი მულტიპლექსით არც ერთი კომპანია არ დაინტერესდება, ეკონომიკის სამინისტროს შეეძლება ყველა მულტიპლექსი ერთ აპლიკანტს გადასცეს.

---

[7] http://www.oscebih.org/documents/osce_bih_doc_2013041709281795eng.pdf, გვ.14; https://epra3-production.s3.amazonaws.com/attachments/files/1873/original/WGII_DigitalTV_final.pdf?1328690072.

კონკურენტული, ღია და გამჭვირვალე შესარჩევი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ეკონომიკის სამინისტრომ შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგას:

- უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეობის განაცხადებისა და შერჩევის კრიტერიუმების სათანადოდ გავრცელება როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- დაინტერესებულ კომპანიებს საკმარისი დრო უნდა მიეცეთ ქართული საბაზრო პირობების შესაფასებლად;
- სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ტენდერში მონაწილეობის მსურველთათვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდება იმ პირობებისა და მარეგულირებელი გარემოს შესახებ, რომელშიც მოუწევს(თ) მუშაობა ტენდერში გამარჯვებულ მონაწილე(ებ)ს;
- სამინისტრომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ტენდერში მონაწილეთათვის დაწესებული ფინანსური ვალდებულებები გონივრულობის საზღვარს არ გასცდეს, რათა ე. წ. სილამაზის კონკურსისთვის საკმარისი რაოდენობით მონაწილეების მოზიდვა გახდეს შესაძლებელი;
- ე. წ. სილამაზის კონკურსის ჩასატარებლად შემუშავებულ უნდა იქნას აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტის ჩათვლით.

MUX ოპერატორები - ევროპის ქვეყნების მაგალითების

ევროპის მცირე ბაზრებზე შესხვადასხვა ტიპის MUX ოპერატორები მოქმედებენ. მფლობელობის თვალსაზრისით გამოირჩევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიები, კერძო კომპანიები და სახელმწიფო და კერძო სექტორის მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოები, რომლებშიც სახელმწიფოს წილი, ხშირად, 50%-ზე მეტია (კონკრეტული მაგალითები იხ. ქვემოთ).

ევროპის რამდენიმე მცირე ზომის ბაზარზე მულტიპლექსის ოპერირების ლიცენზიები ერთ ან ორ ოპერატორზეა გაცემული. მაღალკონკურენტუნარიანი ბაზრის უზრუნველსაყოფად სასურველი იქნებოდა ორი კერძო MUX ოპერატორის არსებობა, რომლებიც კონკურენციას გაუწევდნენ ერთმანეთს როგორც პროვაიდერების, ისე საბოლოო მომხმარებლისათვის. ორი კერძო ოპერატორის არსებობის შემთხვევაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, შესაძლოა, გაურკვეულწილად, პროცესიდან გასვლის საშუალება მიეცეს. ის პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერეოდა, თუ მხარეები საჩივრებს

წარადგენდნენ ან საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები გამოვლინდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უამრავი სატელევიზიო არხია - მიწისზედა მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე დაახლოებით 35 სადგური და 20-ამდე საკაბელო/სატელიტური არხი - ბაზარი მაინც საკმაოდ მცირედ რჩება.[8] 2012 წელს კერძო ტელეარხებმა 82,7 მილიონი ლარის (დაახლოებით 38 მილიონი ევრო) ბრუნვა დააფიქსირეს.[9] ამგვარად, ორი კერძო MUX ოპერატორის მუშაობის მდგრადობის საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია, თუმცა ფასიანი პლატფორმის არსებობის შემთხვევაში ეს შესაძლებელია.

ქართულ ბაზარზე მხოლოდ ერთი კერძო მულტიპლექს ოპერატორის არსებობის შემთხვევაში, ამ კომპანიის ხელში დიდი ძალაუფლება მოიყრის თავს. ეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის როლის გაზრდას გამოიწვევს პროცესების მონიტორინგისა და პლატფორმაზე ყველა წარმომადგენლის არადისკრიმინაციული დაშვების უზრუნველსაყოფად.

- **ლატვიაში** DTT პლატფორმების ერთადერთ ოპერატორად Lattelecom-ი (51% ეკუთვნის ლატვიის სახელმწიფოს, ხოლო 49% შვედეთის TeliaSonera ჯგუფს) რჩება. 2013 წლის მაისში ჩატარებულ ე.წ. სილამაზის კონკურზე არც ერთ სხვა ოპერატორს არ წარუდგენია განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე.[10] Lattelecom-ი მომხმარებელს ასევე სთავაზობს სატელეფონო, ინტერნეტ და IPTV მომსახურებას და მობილურ ოპერატორში 23%-ს ფლობს.[11] 2010 წლის მარტში საკონკურსო ორგანომ ფასიან სატელევიზიო ბაზარზე (Pay TV) Lattelecom-ის მიერ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების საკითხზე გამოძიება დაიწყო, თუმცა 2011 წლის სექტემბერში გამოძიება შეწყდა. რამდენიმე მიწისზედა ადგილობრივი არხი ანალოგურ რეჟიმში

[8] http://gncc.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=50623.
[9] http://www.gncc.ge/files/3100_2949_681569_ANNUAL%20REPORT%202012.pdf, p.51.
[10] "Lattelecom"ლატვიაში ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის ტენდერის ერთადერთი მონაწილე 2014 წლიდან, Latvian News Agency, 29 მაისი 2013 წ.
[11] Lattelecom-ის წლიური ანგარიში 2011, http://www.lattelecom.lv/images/modules/fckeditor/File/temp/2012_01/IFRS_2011_ENG_final_internetam.pdf.

მაუწყებლობას განაგრძნობს, რადგან მათი მტკიცებით ციფრული მაუწყებლობის ხარჯების გაღების საშუალება არ გააჩნიათ. [12]

- **ესტონეთში** ციფრული მაუწყებლობის ქსელის მესაკუთრე და ოპერატორი არის Levira (51% ესტონეთის სახელმწიფოს კუთვნილებშია, ხოლო 49% საფრანგეთის ტელეკომისა და მაუწყებლობის ჯგუფ TDF-ს ეკუთვნის[13]), რომელიც 6 უფასო არხს გადასცემს.[14] საკაბელო და ინტერნეტ ოპერატორი კომპანია Starman ოპერირებას უწევს ფასიან DTT პლატფორმას ZuumTV-ს.[15]
- **ლიტვაში** Teo LT (88.15%-ს TeliaSonera აკონტროლებს[16]), რომელიც IPTV, საკაბელო და ინტერნეტ მომსახურებასაც უზრუნველყოფს, ორ მულტიპლექსზე ოპერირებას უწევს ქვეყნის მთავარი ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის ფასიან პლატფორმას, რომლის სახელწოდებაცაა Gala [17]. სამაუწყებლო ანძების მესაკუთრე და ოპერატორი ლიტვის რადიო და ტელემაუწყებლობის ცენტრია (LRTC). ეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიაა, რომელიც ორ მულტიპლექსს უწევს ოპერირებას და ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის გადაცემის მომსახურებას ახორციელებს უფასო და დაშიფრული არხებისათვის.[18]
- **ხორვატიაში** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გადამცემი კომპანია OIV-ი ხუთი MUX-ის ოპერატორია. [19] 2012 წელს დამატებით ორი MUX-ის ლიცენზია DTT ფასიანი პლატფორმის ოპერირებისათვის მოიპოვა HP Produkcija-მ, OIV -ისა და ხორვატიის Post-ის ერთობლივმა საწარმომ, რომელიც მომხმარებელს HD არხებსა და პრემიუმ-კონტენტს სთავაზობს.[20]
- **ჩეხეთის რესპუბლიკაში**, სამი MUX-ის ოპერატორია Ceske Radiokomunikace (100% მფლობელია საინვესტიციო ფონდი Macquarie Infrastructure and Real

---

[12] http://mavise.obs.coe.int/country?id=21.
[13] http://www.levira.ee/dyna/site/353eng.html.
[14] http://digilevi.ee/tasuta-tv/teleprogrammid/; http://digilevi.ee/abiks-tv-vastuvotul/organisatsioonid/.
[15] Starman-ის წილტა უმეტესობა შვედურ საინვეტიციო ჯგუფ East Capital Explorer-ს ეკუთვნის (51%), ხოლო კომპანიის დამფუძნებლები წილთა უმცირეს ნაწილს ფლობენ. http://www.screendigest.com/news/2013_05_estonias_largest_cable_tv_operator_with_new_ownership/view.html.
[16] http://www.teo.lt/en/facts.
[17] Teo LT AB - Business Description GlobalData Company Profiles 10 July 2013.
[18] http://www.telecentras.lt/paslaugos/radijas_ir_televizija/skaitmenines_antzemines_televizijos_siuntimas/tinklais/; http://www.telecentras.lt/en/About_the_Company/; http://www.rrt.lt/en/for-business/resources/broadcasting/digital-terrestrial-tv.html.
[19] http://www.oiv.hr/broadcasting/terrestrial/dtv/dtv_en.aspx.
[20] HP Produkcija იწყებს DTT ფასიანი ტელევიზიის შეთავაზებას Irdeto-სატვის, 21 თებერვალი 2013 წ., www.telecompaper.com/news/hp-produkcija-launches-dtt-pay-tv-offering-with-irdeto--926425.

Assets Europe), რომელმაც 2011 წელს ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის ოპერატორი ჩეხური ჯგუფი CDG შეიძინა.[21] მეორე მულტიპლექს შპს Digital Broadcasting უწევს ექსპლუატაციას. [22] ჩეხეთში არ არსებობს ფასიანი ციფრული მიწისზედა მაუწყებლობა. ამჟამად ოპერატორები მომხმარებელს მხოლოდ უფასო პროგრამებს სთავაზობენ.[23]

- **სლოვაკეთში** ოთხივე MUX-ის ოპერატორი Slovak Telekom-ის საკუთრებაში არსებულიTowercom-ია, რომლის უდიდესი პაკეტი Deutsche Telekom-ს ეკუთვნის (51%), ხოლო 49% სლოვაკეთის სახელმწიფოს საკუთრებაშია. [24] ახლახანს დანერგილი ფასიანი ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის ყოველთვიური საფასური 6 ევროს (13 ლარი) შეადგენს.[25]

ევროპის უმეტეს სატელევიზიო ბაზრებზე ერთმანეთისაგან მკვეთრად არიან გამიჯნულნი პროვაიდერები და ქსელის/MUX ოპერატორები.

მნიშვნელოვანი გამონაკლისები:

- **დანია**, სადაც მსხვილი MUX ოპერატორი, BoxerTV (შვედეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული Teracom-ის კუთვნილება), ახორციელებს კომერციული უფასო მაუწყებლობისა და ფასიანი ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის ექსპლუატაციას. ორი მულტიპლექსის ოპერატორია საზოგადოებრივი მაუწყებლის DR (66.6%)-ისა და TV2 (33,3%)-ის კუთვნილებაში არსებული Digi-TV. ისინი free-to-air საზოგადოებრივი არხების ტრანსლირებას ახორციელებენ.[26]
- **ავსტრიაში**, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ საქართველოსთვის სამაგალითოდ მოიხსენია, ერთი ოპერატორი ORS (მას ფლობს ავსტრიის

[21] http://mavise.obs.coe.int/country?id=9; http://www.radiokomunikace.cz/en/about-company/company-profile.html.
[22] http://www.multiplex4.cz/.
[23] http://www.broadbandtvnews.com/2013/04/24/czech-republic-ripe-for-pay-dtt/.
[24] http://mavise.obs.coe.int/country?id=28; http://www.towercom.sk/en/televizne-vysielanie.php.
[25] http://www.broadbandtvnews.com/2013/04/23/slovak-pay-dtt-details-emerge/.
[26] http://www.digi-tv.dk/In_English/.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ORF (60%) და Raiffeisen-ის შვილობილი (40%)) ოპერირებას უწევს A და B DVB-T მულტიპლექსებს.[27] მან ახლახანს მიიღო, ასევე, D, E და F მულტიპლექსების ოპერირების უფლება ქვეყნის მასშტაბით DVB-T2 ქსელის გასაშვებად (Simpli TV). ეს ქსელი მომხმარებლებს საზოგადოებრივ მაუწყებლებსა და კომერციულ ავსტრიულ არხებს (უფასო არხები) მაღალი გარჩევადობით სთავაზობს. ის მაყურებელს ასევე სთავაზობს საერთაშორისო არხების მომცველ დამატებით პაკეტს, რომელიც ხელმომწერებს თვეში 10 ევრო (21 ლარი) დაუჯდებათ.[28]

- **იტალიაში** (რომელიც პლურალიზმის თვალსაზრისით არც თუ საუკეთესო მაგალითია) საზოგადოებრივი მაუწყებელი RAI და დომინანტი სამაუწყებლო ჰოლდინგი Mediaset, რომელსაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის ოჯახი ფლობს, ერთობლივად ახორციელებენ ხუთი მულტიპლექსის ოპერირებას. კონკურენციის გაძლიერების მიზნით, ამ ორ ოპერატორს აეკრძალა ბოლო აუქციონში მონაწილეობის მიღება.[29]

რამდენიმე ქართული არხი, მათ შორის „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია“ (GARB) და თბილისში ფუნქციონირებადი ტელეკომპანია „კავკასია“, უკვე რა ხანია, ითხოვს საკუთარი მულტიპლექსის ოპერირების უფლებას. ანალოგიური მინიშნება გააკეთა „რუსთავი 2“-მაც, რომელმაც განაცხადა, რომ პოტენციურად დაინტერესებულია MUX 2 -ის ტენდერში მონაწილეობის მიზნით კონსორციუმის ჩამოყალიბებაში.

კონტენტის მწარმოებელთა სურვილი, პირდაპირ აკონტროლონ მაუწყებლობის ინფრასტრუქტურა, სახელმწიფოსა და მარეგულირებელი ორგანოსადმი ნდობის ნაკლებობიდან მომდინარეობს, რომლებიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სამაუწყებლო სექტორის დამოუკიდებლობასა და ქსელური ინფრასტრუქტურის სამართლიან, არადისკრიმინაციულ წვდომას. რამდენიმე ოპერატორი შეშფოთებას გამოხატავს, რომ კერძო MUX ოპერატორი არაგონივრულად მაღალ საფასურს დააწესებს. ამ უკანასკნელთა აზრით, თუკი თავად განახორციელებენ

[27] Raiffeisen ბანკი წლების მანძილზე ინარჩუნებს ურთიერთობას პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან. ბანკი განკარგავს ივანიშვილი ქონების ნაწილს, 2006 წელს კი მან ივანიშვილის კუთვნილი რუსული „იმპექსბანკი“ 550 მლნ. აშშ დოლარად შეიძინა.

[28] https://www.rtr.at/en/m/MUX; http://www.simplitv.at/; http://ors.at

[29] Reuters, 7 ნოემბერი, 2012, http://www.reuters.com/article/2012/11/07/italy-frequencies-idUSL5E8M7EI620121107; Reuters, 11 აპრილი 2013, http://www.reuters.com/article/2013/04/11/italy-frequencies-idUSL5N0CY3XG20130411.

მულტიპლექსის ოპერირებას, ეს მათ საექსპლუატაციო ხარჯებს შეამცირებს. ეკონომიკის სამინისტრომ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიზნად უნდა დაისახონ აღნიშნული პრობლემების მოგვარება სახელმძღვანელო პრინციპებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის შემუშავების გზით.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR) ხაზგასმით განაცხადა, რომ, თუ ქსელის მფლობელები და კონტენტ-პროვაიდერები იმავდროულად მულტიპლექსის პროვაიდერებიც იქნებიან, გაიზრდება მონოპოლიზაციის საშიშროება. ასეთ შემთხვევაში მარეგულირებელს განსაკუთრებული სიფხიზლე მოეთხოვება, რათა აღკვეთილ იქნას ოპერატორის მიერ კონკურენციის ჩახშობის ყველანაირი მცდელობა. [30]

ერთი მხრივ, ეკონომიკის სამინისტრომ, არ უნდა შეუზღუდოს რომელიმე კომპანიას ან კონსორციუმს ე. წ. სილამაზის კონკურსში მონაწილეობის უფლება, მეორე მხრივ კი, სასურველია, შენარჩუნდეს მკაფიო გამიჯვნა საქართველოში ქსელის არსებულ ოპერატორებსა და კონტენტ-პროვაიდერებს შორის. ეს მნიშვნელოვანია შემდეგ მიზეზთა გამო:

- თუ კონტენტ-პროვაიდერი (ან ბენეფიციარი აქციონერებისაგან შემდგარი კომპანია, რომლებიც მნიშვნელოვან წილებს ფლობენ რომელიმე კონტენტ-პროვაიდერში) მულტიპლექსის ოპერატორი გახდება, ეს ინტერესთა კონფლიქტის სერიოზულ საშიშროებას წარმოშობს და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან ინტენსიურ მონიტორინგს გახდის საჭიროს, რათა არ მოხდეს არც ერთი მაუწყებლის დისკრიმინაციულ პირობებში ჩაყენება. ამის უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება, მაგალითად, MUX ოპერატორის დავალდებულებით, ჰქონდეს გამჭვირვალე საფასო პოლიტიკა.
- საქართველოში არ არსებობს ბოლოდროინდელი მაგალითები იმისა, რომ სხვადასხვა მაუწყებლებს ხანგრძლივად და წარმატებით ეთანამშრომლოთ კონსორციუმის ფარგლებში (ბაზარზე არ არსებობს მაუწყებელთა ეროვნული ასოციაცია ან ამ მასშტაბით ფუნქციონირებადი სხვა ორგანო).
- ბევრ მცირე ოპერატორს არც მართვის კომპეტენცია აქვს და არც ფინანსური რესურსი, რათა დაამონტაჟოს და ექსპლუატაცია გაუწიოს ტექნიკურ მოწყობილობებს. ადგილობრივი არხებისათვის საკუთარი

[30] http://www.oscebih.org/documents/osce_bih_doc_2013041709281795eng.pdf.

ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალების მიცემა მაუწყებლების გაკოტრების საშიშროებას შეიძლება უკავშირდებოდეს.

მარეგულირებელი ორგანოების ევროპის პლატფორმის (EPRA) მიერ დაფიქსირდა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებლებს ხშირად ენიჭებათ მთლიანი მულტიპლექსები, რაც მათ ციფრული მომსახურებისა და დამატებითი არხების გაშვების საშუალებას აძლევს. [31] ეკონომიკის სამინისტროს გეგმების მიხედვით, გაურკვეველი რჩება, როგორ აპირებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი მისთვის გადაცემული სიხშირის სიმძლავრის სრულად გამოყენებას, რომელიც მას ეკონომიკის სამინისტროს ამჟამინდელი გეგმების მიხედვით გადაეცემა.

გადასახადის გადამხდელთა მიერ დაფინანსებული საზოგადოებრივი ოპერატორისა და კერძო MUX ოპერატორის კონკურენციამ, შესაძლოა, ბაზარზე წონასწორობის დარღვევა გამოიწვიოს, თუ საზოგადოებრივ ოპერატორს უფლება ექნება მომსახურება გაუწიოს კომერციულ სადგურებს.

- **სლოვენიაში** Norkring-ი (Telenor-ის საკუთრება [32]) MUX B-ს ექსპლუატაციას, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებელი MUX A-ს ექსპლუატაციას ახორციელებდა (და მთელ ქვეყანას ფარავდა) და იმავდროულად სხვადასხვა კერძო არხსაც ატარებდა. ორი წლის შემდეგ Norkring-მა მუშაობა შეწყვიტა, რადგან არასაკმარისი დაინტერესების პირობებში შესაბამისი მომსახურების გაწევა მისთვის შეუძლებელი გახდა.[33] ევროკომისიამ გააფრთხილა სლოვენია არაკონკურენტული საბაზრო პირობების გამო, რაც იმან გამოიწვია, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს კერძო კონკურენტზე უფრო დაბალი ფასის შეთავაზების შედეგად ნება დაერთო კომერციული პროგრამები გაეშვა. [34] მოგვიანებით პარლამენტმა საზოგადოებრივ მაუწყებელს RTV Slovenija-ს აუკრძალა კომერციული პროგრამების გაშვება საკუთარი მულტიფლექსით, მაგრამ ალტერნატიული

[31] https://epra3-production.s3.amazonaws.com/attachments/files/1873/original/WGII_DigitalTV_final.pdf?1328690072.

[32] Telenor-ის საკუთრება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტელეკომუნიკაციების კომპანია, რომლის წილთა უდიდესი პაკეტის მფლობელია ნორვეგიის მთავრობა, და რომელიც ექსპლუატაციას უწევს მულტიპლექსებს ნორვეგიასა და ბელგიაში. http://www.telenor.com/investor-relations/major-shareholdings/.

[33] http://www.sloveniatimes.com/norkring-moving-out-too.

[34] ევროკომისია აფრთხილებს სლოვენიას ციფრულ მულტიფლექსთან დაკავშირებით: Telecompaper Europe, 5 მარტი 2012 წ., Factiva-ს საშუალებით.

კერძო ოპერატორის არარსებობის გამო RTV Slovenija კვლავაც განაგრძობს კერძო ოპერატორების გატარებას.[35]

უნივერსალური მომსახურების ვალდებულება

ეკონომიკის სამინისტრო მიზნად უნდა ისახავდეს MUX 3, MUX 4, MUX 5, MUX 6-ისა და MUX 7-ის დაფარვის ზონის მაქსიმალურად გაზრდას. სამინისტრომ საკონკურსო პირობებში უნდა ჩადოს მოსახლეობის ის რაოდენობა, რომელიც ქსელის მიერ უნდა იქნას დაფარული (და ასევე ამ სრული დაფარვის განხორციელების კონკრეტული ვადა). ეკონომიკის სამინისტრო და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ასევე უნდა ისწრაფვოდნენ მომხმარებლებისთვის არხების მრავალფეროვანი პაკეტების უფასო მიწოდების უზრუნველყოფისკენ, იქნება ეს მიწისზედა ციფრული, თუ სატელიტური მაუწყებლობა.

მულტიპლექსის ლიცენზიის ვადები

ევროპის რიგ ქვეყანაში MUX ოპერატორების ლიცენზიის ვადა 10 წელია (მაგ., ავსტრიაში, ხორვატიაში,[36] სლოვენიაში, ესპანეთში, ფინეთში). ზოგიერთ ქვეყანაში ლიცენზიის პერიოდი უფრო ხანგრძლივია: დიდ ბრიტანეთში - 12 წელი, [37] პორტუგალიასა და ნიდერლანდებში - 15 წელი, [38] სლოვაკეთში კი MUX ლიცენზიების გაცემა 18 წლის ვადით ხდება.[39]

ეკონომიკის სამინისტროს MUX ლიცენზიების ვადები ჯერაც არ აქვს განსაზღვრული. რაც უფრო დიდი იქნება ოპერატორის პირველადი ინვესტიცია, მით უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს ლიცენზიის პერიოდი. ეს შესაბამის კომპანიას საშუალებას მისცემს საკუთარი ინვესტიციიდან ამონაგები მიიღოს და საკმარისი მოგება ნახოს, რათა აღნიშნული საქმიანობა საინტერესო შესაძლებლობად იქნას აღქმული.

---

[35] ეროვნული ასამპლეა ამტკიცებს ცვლილებებს ციფრული მაუწყებლობის აქტში,, Slovenska Tiskovna Agencija, 12 ივნისი 2012 წ., Factiva საშუალებით.

[36] http://igorfuna.com/dvb-t/croatia/.

[37] http://media.ofcom.org.uk/2013/01/28/ofcom-awards-local-tv-multiplexlicence/.

[38] EPRA: http://epra3-production.s3.amazonaws.com/attachments/files/747/original/EPRA0203.doc.

[39] Towercom-მა მე-4 მულტიპლექსის ოპერირების ლიცენზია მოიპოვა, SITA Slovenska Tlacova Agentura, 15 Dezember 2011.

Must-carry-ის პრინციპი და MUX პლატფორმის ხელმისაწვდომობა

საქართველოში საერთო მაუწყებლობის ლიცენზიების მინიჭება, როგორც წესი, 10 წლის ვადით ხდება. ასეთი ვადით გაიცა უკანასკნელ წლებში განახლებული ლიცენზიებიც, შედეგად რამდენიმე სადგური ლიცენზიას 2022 წლამდე ფლობს.[40] ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, მარეგულირებლის მიერ არხის ეთერში გასაშვებად ლიცენზიების გაცემა, შესაძლოა, აღარც იყოს საჭირო, გამომდინარე იქიდან, რომ მულტიპლექსის ოპერატორი დამოუკიდებლად წარმართავს არხებთან მოლაპარაკებას ტრანზიტის პირობების შესახებ.

ევროპაში მულტიპლექსების ხელმისაწვდომობის საკითხზე ორი მარეგულირებელი მიდგომა არსებობს:

რიგ იურისდიქციაში მარეგულირებლები საჯარო პროცედურების მეშვეობით ირჩევენ არხების შემადგენლობას, ანალოგური მაუწყებლობის გამოცდილების მსგავსად. EPRA-ს მიხედვით, ამ ქვეყნებში (მაგ., საფრანგეთში, ბელგიის ფრანგულ თემში, გერმანიაში, შვედეთში, ფინეთში, სლოვენიაში) მარეგულირებელი პირველადი მაკონტროლებლის როლს ასრულებს.[41]

სხვა ქვეყნები ნებას რთავენ MUX ოპერატორებს, თავად ახორციელონ მათი პოტენციალისა და რესურსების მართვა და მარეგულირებლის ჩარევის გარეშე არჩევენ არხებს. ამით ისინი საკუთარ თავზე იღებენ მაკონტროლებლის ფუნქციას (მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკაში 2012 წლიდან, ლატვიაში, სლოვაკეთში, დანიაში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, ნორვეგიაში, პორტუგალიაში). ასეთ შემთხვევებში, არხები და ოპერატორები უნდა შეთანხმდნენ წვდომისა და გავრცელების პირობებზე.[42] მარეგულირებელი პროცესში მხოლოდ დისკრიმინაციის და/ან საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ერევა.

ტრანზიტის საფასური

ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის მომსახურების ფასები საკმაოდ საფრთხილო საკითხია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც MUX ოპერატორების მომსახურებაზე მაუწყებლების მხრიდან დაბალი ინტერესია, რაც იმას ნიშნავს, რომ

---

[40] ამჟამიმდელი ლიცენზიანტების სია და მათი ლიცენზიების ვადები იხ. https://docs.google.com/a/transparency.ge/spreadsheet/ccc?key=0AqsbzT5Sdy6PdGRkVmR2SjgtTm50bjVnbnVRYVpvNVE#gid=2.

[41] EPRA: https://epra3-production.s3.amazonaws.com/attachments/files/1873/original/WGII_DigitalTV_final.pdf?1328690072.

[42] EPRA: https://epra3-production.s3.amazonaws.com/attachments/files/1873/original/WGII_DigitalTV_final.pdf?1328690072.

რამდენიმე არხს მოუწევს იმ ოდენობის გადასახადების გაწევა, რომ MUX-ის ექსპლუატაცია შესაძლებელი გახდეს [43]. თუმცა არხების სიმრავლეს თუ გავითვალისწინებთ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ საქართველოში მოვლენები ამგვარი სცენარით განვითარდეს.

IDFI-ის წინადადების თანახმად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ მიდგომას, რომლის დროსაც მარეგულირებელი აქტიურად არის ჩართული MUX ოპერატორების მიერ შესაძლო ფასების დაწესების პროცესში, რაც მათ სავარაუდო საოპერაციო ხარჯებს უნდა ემყარებოდეს.[44]

არსებობს უფრო შერბილებული მიდგომაც ფასებთან დაკავშირებით (მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ავსტრია), რომელიც საქართველოსთვის საინტერესო მაგალითად შეიძლება განვიხილოთ: ერთის მხრივ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს წესები - რომ მულტიპლექსის ოპერატორი ფასების დაწესებისას აუცილებლად უნდა იყოს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული - ხოლო, მეორე მხრივ, არხებისა და ქსელების ოპერატორებს ფასებთან დაკავშირებულ დეტალურ პირობებზე მოლაპარაკებებისა და შეთანხმების საშუალება ჰქონოდათ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეისწავლოს ვითარება, თუ ბაზარზე მოქმედი სუბიექტი მოუწოდებს მას ჩაერიოს პროცესში. ასეთ შემთხვევაში მარეგულირებელი სამართლიანი და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, პროცესში უნდა ჩაერთოს.

OSCE/ODIHR აღნიშნავს: „ მარეგულირებლისათვის ან სახელმწიფოსათვის, ბაზარზე სასურველი სიტუაციის მისაღწევად, შესაძლოა მაცდური იყოს ფასებისა და პირობების დამოუკიდებლად განსაზღვრა. თუმცა, ეს თავისუფალ ბაზარში ზედმეტი ჩარევა იქნება, რაც თავისუფალი ბაზრის მთავარი სარგებლის - კონკურენტუნარიანი ფასები და მაღალი ხარისხი - დაკარგვას გამოიწვევს. ფასებსა და პირობებს ბაზარი უნდა კარნახობდეს, ხოლო მარეგულირებელი მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, თუ ბაზარი ვეღარ ფუნქციონირებს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საწყის ეტაპზე, სავალდებულო საბაზრო პირობების არარსებობის

[43] https://epra3-production.s3.amazonaws.com/attachments/files/1873/original/WGII_DigitalTV_final.pdf?1328690072 pp.3, 4.
[44] http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/DSO%20Strategy%20IDFI%20-%20English(1).pdf.

პირობებში, მარეგულირებელს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. სექტორის სხვადასხვა სუბიექტს შორის მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელია .”[45]

რეკომენდაციები

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ და ეკონომიკის სამინისტრომ საბოლოოდ უნდა შეიმუშაონ ლიცენზიებთან დაკავშირებული პოლიტიკა და ჩამოყალიბდნენ მოხდება თუ არა სამაუწყებლო ლიცენზიების ჩამორთმევა, მოხდება თუ არა ლიცენზიანტების კომპენსირება და თუ მოხდება, რა ფორმით. იმავდროულად გარანტიები უნდა მიეცეთ არხებს, რომელთაგან ბევრმა წარსულში უკვე გამოსცადა მთავრობის მხრიდან გაუმართლებელი ჩარევა, რომ არ მოხდება ამ პროცესის ბოროტად გამოყენება და მათი ეთერიდან მოხსნა.
- მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებების თანახმად, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის ყველა მფლობელს, ანუ ყველა არხს, რომელიც მიმდინარე მოვლენებს აშუქებს, დე ფაქტო შეუძლია must-carry-ის (სავალდებულო ტრანზიტი) სტატუსის მიღება. ჯერ გაურკვეველია როგორ აისახება must-carry-ის სტატუსი DTT პლატფორმაზე და ვის მიეცემა must-carry-ის სტატუსით სარგებლობის უფლება.
- ეკონომიკის სამინისტრომ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა განიხილონ რეგულირების მოდელი, სადაც მარეგულირებლის როლი შეზღუდული იქნება და მხოლოდ მაშინ ჩაერთვება მულტიპლექსის ოპერატორებისა და კონტენტის პროვაიდერების ურთიერთობაში, როდესაც ბაზარზე კრიზისი გამოიკვეთება.

მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების მხარდაჭერა

იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს სრულად ისარგებლოს ციფრული მაუწყებლობის უპირატესობებით, ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ მოწყვლად ჯგუფებს კვლავაც ჰქონდეთ წვდომა ტელეარხებზე ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ზეგავლენას მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილზე მოახდენს, რომელიც სატელევიზიო სიგნალს ანტენის მეშვეობით იღებს. ასეთი საქართველოს ოჯახების 41%-ია, როგორც ეს GNCC/IPM-ის კვლევაშია

[45] http://www.oscebih.org/documents/osce_bih_doc_2013041709281795eng.pdf.

ნათქვამი, რაც იმას ნიშნავს რომ ისინი მოწყვლადი ოჯახების ჯგუფში ექცევიან. მოწყვლად ჯგუფში ხვდება პრაქტიკულად ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახი, რადგან სატელიტური თეფშისა და საკაბელო ტელევიზიის მქონე ოჯახები ავტომატურად კარგავენ ამ სტატუსს.

ვინ არის მოწყვლადი?

- **ეკონომიკურად დაუცველი ჯგუფი:** ადამიანები, შესაძლოა, განხილულ იქნან მოწყვლად კატეგორიაში, თუ მათ საკმარისი ფინანსები არ გააჩნიათ სეტ-ტოპ ბოქსების (და საჭიროების შემთხვევაში, ანტენის) შესაძენად, რომელიც ტელევიზორს ანტენასთან აერთებს და ანალოგურ სიგნალს ციფრულად გარდაქმნის. ასეთ შემთხვევაში, სოციალური დახმარების მიმღებთა მიზნობრივი მხარდაჭერა აღიქმება როგორც მისაღები მოდელი, თუ რა თქმა უნდა ხელისუფლება უზრუნველყოფს ამ პროცესის სამართლიანობასა და არადისკრიმინაციულობას.
- **სოციალურად დაუცველი ჯგუფი:** მოწყვლად ჯგუფში ხვდებიან ასევე სოციალურად იზოლირებული ადამიანები, მათ შორის ხანშიშესული პირები, რომლებიც შეზღუდული სოციალური კავშირებით სარგებლობენ, ადამიანები მაღალმთიან რეგიონებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და, ასევე, ადამიანები, რომლებიც არ საუბრობენ ქართულად. მათ, შესაძლოა, არ ჰქონდეთ ინფორმაცია იმ ტექნიკური ცვლილებების შესახებ, რომლებიც აუცილებელი იქნება ტელევიზორის საყურებლად ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, ან სულაც საჭიროებდნენ დახმარებას სეტ-ტოპ ბოქსების ინსტალირებაში.[46]

[46] იხილეთ: Ofcom Consumer Panel (2004): Supporting the most vulnerable consumers through digital switchover, www.digitaltelevision.gov.uk/pdf_documents/publications/cp_dso_report_webv.pdf

როგორ იღებთ სატელევიზიო სიგნალს სამაუწყებლო ზონების მიხედვით?[47]

	საქართველო	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	სხვა
ანტენა (ანალოგური მიწისზედა)	41%	33%	31%	55%	12-69%
სატელიტი	40%	26%	40%	44%	26-84%
ანალოგური საკაბელო	20%	33%	30%	9%	1-9%
ციფრული საკაბელო/IPTV	12%	19%	17%	12%	0-3%
საზიარო სატელიტური თეფში	1%	1%	1%	2%	1-2%

ოჯახში ტელევიზორების რაოდენობა სამაუწყებლო ზონების მიხედვით[48]

	თბილისი	**ქუთაისი**	**ბათუმი**	**სხვა**
1 ტელევიზორი	57%	70%	64%	67-87%
2 ტელევიზორი	30%	24%	30%	11-25%
3 და მეტი ტელევიზორი	13%	6%	6%	1-8%

ეკონომიკის სამინისტროს მიმდინარე გეგმების მიხედვით, მას სურს გამარჯვებულ კერძო MUX ოპერატორს მოსთხოვოს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და სოციალური დახმარების პროგრამაში მყოფი დაახლოებით 500 000 ოჯახისათვის დეკოდერების უფასო მიწოდებაზე ერთადერთი პასუხისმგებელი მხარე იყოს. ეკონომიკის

[47] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია/IPM (ივლისი 2013): ტელე-რადიო მაუწყებლობის პრიორიტეტების კვლევა http://www.gncc.ge/files/110_114425_295711_TV-Radio%20communication_IPM_Report_2013.pdf

[48] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია/IPM (ივლისი 2013): ტელე-რადიო მაუწყებლობის პრიორიტეტების კვლევა http://www.gncc.ge/files/110_114425_295711_TV-Radio%20communication_IPM_Report_2013.pdf

სამინისტროს შეფასებით, ნახევარი მილიონი დეკოდერის ღირებულება 18 მილიონ ევროს შეადგენს (ერთის ღირებულება 36 ევრო/80 ლარია)[49].

ამ მძიმე ფინანსურმა ტვირთმა - რასაც ემატება ინფრასტრუქტურის განვითარებისა და საინფორმაციო/მარკეტინგული კამპანიის ხარჯები - ბევრ პოტენციურ პრეტედენტს, შესაძლოა, თავი შეაკავებინოს კონკურსში მონაწილეობისაგან. ევროპის უმეტეს ქვეყანაში, ოჯახებისათვის შესაბამისი დახმარების გასაწევად მთავრობებმა სახსრები გაიღეს.

ტრანზიციის პერიოდში, დეკოდერებით უზრუნველყოფის გარდა, ოპერატორს, სავარაუდოდ, ასევე მოუწევს დისტრიბუციის სისტემისა და ქსელის შექმნა, რომელიც ოჯახებს დეკოდერებისა და ახალი ანტენების მიღებასა და მათ ძველ ტელევიზორებზე ინსტალაციაში გაუწევს დახმარებას.

პროექტი Digi.TV, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესს უწყობს ხელს, აღნიშნავს, რომ სეტ-ტოპ ბოქსების შესაძენად სუბსიდიების გაცემის საუკეთესო ფორმა პერსონალური ვაუჩერების დარიგებაა. ასეთმა ვაუჩერებმა მომხმარებელს ნებისმიერი ტიპის ციფრული მიმღების ყიდვის საშუალება უნდა მისცეს, იქნება ეს ციფრული ტელევიზორი, თუ საკაბელო ან ციფრული სატელიტური თეფში [50] . ეს აუცილებელია, რათა ადამიანებმა იმ რეგიონებში, რომლებიც უწინ ანალოგური სიგნალით იფარებოდა, თუმცა DVB-T2 სიგნალით ვერ დაიფარება, სიგნალის სხვა პლატფორმების მეშვეობით მიღება შეძლონ.[51]

[49]გამომდინარე იქიდან, რომ DVB-T2 ახალი ტექნოლოგიაა და ევროპის ბაზარზე სულ ახალი შემოსულია, ამ ეტაპზე DVB-T2 კომპლექტების შეზღუდული რაოდენობა არსებობს, თუმცა მომავალ თვეებში მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, გაიზრდება. ერთი DVB-T2/MPEG 4 დეკოდერის შესაბამისი საცალო ფასი ევროპაში 50 ევროდან იწყება. smart-card კოდირებიანი მოწყობილობის მინიმალური ფასი კი დაახლოებით 80 ევროა.

[50] შესაძლებელია დამატებითი კრიტერიუმის ჩადება, რომელიც მოითხოვს სუბსიდირებული სეტ-ტოპ ბოქსები დაფუძნებული იყოს Open application programme interface-ზე (API) და შეეძლოს ინტერაქტიულობის უზრუნველყოფა, რაც მომხმარებლებს სხვადასხვა მომსახურებებით, მათ შორის video on demand-ით სარგებლობის საშუალებას მისცემს.

[51] იხილეთ: Digi.TV (2011): ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის აუცილებელი ფინანსური მოდელების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 17, ხორვატიის მოდელი http://www.see-digi.tv/shared_files/wp3/wp3a5.pdf

ალტერნატივა DVB-T2-ის მიერ ხელმიუწვდომელი რეგიონებისთვის

მაღალმთიან რეგიონებში, სადაც DVB-T2 სიგანლი ხელმისაწვდომი ვერ იქნება, რადგანაც საკაბელო/IPTV ოპერატორები ამ რეგიონებში სიგნალის გავრცელებას ვერ ახერხებენ, სატელევიზიო სიგნალის მიწოდების ერთადერთი გზა სატელიტია.

ქართული ტელევიზიები სამი სატელიტის მეშვეობით ვრცელდება:[52]

- Turksat 3A ერთადერთი სატელიტია, რომელიც ქართულ ტელეარხებს უფასოდ გადასცემს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლებს ამ არხების საყურებლად ფასიანი პაკეტის შეძენა არ უწევთ. ამ სატელიტით შემდეგი არხები გადაიცემა: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, „აჭარის ტელევიზია," „იმედი," „რუსთავი 2," „მაესტრო," TV3, TV25, „ქართული TV" და ხუთი რადიო, რომელთა შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი რადიოცაა.[53]
- Turksat 2A უფასოდ მხოლოდ „რუსთავი 2"-სა და „ობიექტივს" სთავაზობს მომხმარებელს. [54] თუმცა, სატელიტი Black Sea Sat-ის ფასიან პაკეტს ავრცელებს, რომელიც 30-მდე ქართულ არხს მოიცავს. ბაზისურ პაკეტში, რომლის ფასიც თვეში 10 ლარია სხვა ქართულ არხებთან ერთად საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2," „იმედი" და „მაესტროც" შედის.[55]
- Astra 1E „მაგთისატის" ფასიანი პაკეტია (Pay-TV). ყველაზე იაფიანი პაკეტი თვეში 10 ლარი ღირს და მასში რიგი ქართული არხები შედის: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხები, „იმედი," „რუსთავი 2," „მაესტრო" და სხვ. [56] ყველა არხი დაშიფრული და ისინი მხოლოდ ხელმომწერებისთვისაა ხელმისაწვდომი.[57]

თვეში 10 ლარის ოდენობის გადასახადის გარდა, შესაძლოა გაჩნდეს დამატებითი ხარჯები - შესაძლოა საჭირო გახდეს დეკოდერის ყიდვა ან დაქირავება და ინსტალაციის საფასური გადახდა.

[52] http://www.magtisat.ge/index.php?page=packages
[53] http://www.lyngsat.com/Turksat-3A.html
[54] http://www.lyngsat.com/Turksat-2A.html
[55] http://bssat.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=22.
[56] http://www.magtisat.ge/index.php?page=packages.
[57] http://www.lyngsat.com/Astra-1G.html

რეკომენდაციები

- მთავრობა უნდა უზრუნველყოს ტელევიზიის ხელმისაწვდომობა ეკონომიკურად და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდგომ. ამისათვის, მთავრობამ უფრო დიდი როლი უნდა შეასრულოს სუბსიდიების გაცემისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ინფორმაციული ხასიათის თუ სხვა სახის დახმარების აღმოჩენის პროცესში. თუ საინფორმცაიო კამპანიის წარმოება მთლიანად მულტიპლექსის ოპერატორის პასუხისმგებლობის ქვეშ იქნება, იგი შეიძლება დაგვიანებულად დაიწყოს და, ამასთან, იყო არასაკმარისად მასშტაბური.
- ნაცვლად იმისა, რომ მთავრობამ მულტიპლექსის ოპერატორს ასობით ათასი დეკოდერის შეძენა მოსთხოვოს, სასურველია, შეიქმნას, დიგიტალიზაციის ფონდი, რომელსაც დააფინანსებს როგორც სახელმწიფო, ასევე სხვა აქტორები, რომლებიც სარგებელს მიიღებენ ციფრული მაუწყებლობისაგან - მათ შორის, მულტიპლექსის ოპერატორი. (სახელმწიფომ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ოდენობის თანხები მიიღოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ. მას შეუძლია აუქციონის წესით გასცეს ნებართვა 800მჰც სიხშირეებზე 4G/LTE ფართოზოლიანი მობილური ინტერნეტისთვის. აღნიშნული სიხშირეები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ გათავისუფლდება.) Digi.TV-მ აღნიშნა, რომ ფონდის შექმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში საკუთესო პრაქტიკაა. ფონდი, შესაძლოა, ეკონომიკის სამინისტრომ ან მარეგულირებელმა კომისიამ მართოს. მისი არსებობა ხელს შეუწყობს ციფრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებული ხარჯების (სეტ-ტოპ ბოქსების შესყიდვა, საინფორმაციო კამპანია, სხვადასხვა პილოტური პროექტები და ა.შ.) გამჭვირვალეობას. [58] აღნიშნული მიდგომის ერთ-ერთი მაგალითი ავსტრიის დიგიტალიზაციის ფონდია.[59]
- ეკონომიკის სამინისტრომ და მარეგულირებელმა კომისიამ უნდა იმსჯელონ, თუ როგორ იქნება შესაძლებელი სუბსიდირებული სეტ-ტოპ ბოქსების ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით დარიგება. ეს მნიშვნელოვანია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაყურებელი, შესაძლოა, ერთ კონკრეტულ პროვაიდერზე აღმოჩნდეს მიბმული. ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნას სატელიტების დარიგება ძნელად ხელმისაწვდომ ადგილებში, სადაც, ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდეგ,

[58] Digi.TV (2011): Guidelines for the Funding Framework for the Digital Switchover, p.8, 12 to 14, http://www.see-digi.tv/shared_files/wp3/wp3a5.pdf

[59] https://www.rtr.at/en/df/Digitalisierungsfonds.

ციფრული სიგნალის გავრცელება შეუძლებელი იქნება. ინდივიდუალური ვაუჩერების დარიგება, სავარაუდოდ, საუკეთესო გამოსავალია.